ინფორმაცია გამოკითხვის შესახებ

კვლევის მიზანი იყო შემდეგი საკითხების გააზრებისა და გაცნობიერებულობის კვლევა: მრავალფეროვნება ქართულ საზოგადოებაში; უმცირესობათა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებები; დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევები და მათი გავლენა; დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საწინააღმდეგო კანონმდებლობა საქართველოში; სიტუაციის გამოსწორების არსებული მექანიზმები და მათი ეფექტიანობა; სხვადასხვა აქტორებისადმი დამოკიდებულება.

მოსახლეობა: საქართველოს ზრდასრული მოსახლეობა (18 წელი და ზემოთ), ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის გარდა (სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი). მონაცემები არის არამარტო ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობითი, არამედ მისი განზოგადება შესაძლებელია თბილისის, სხვა ურბანული სტატუსის მქონე დასახლებების და სოფლად მცხოვრები მოსახლეობაზე. მონაცემები აგრეთვე წარმომადგენლობითია იმ დასახლებული პუნქტებისა, რომელთა მოსახლეობის უმეტესობის ძირითადი სასაუბრო ენა სომხური ან აზერბაიჯანულია

შერჩევის დიზაინი: სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერულ შერჩევა

შერჩევის ზომა: 2,205 რესპონდენტი

გამოპასუხების რაოდენობა: 49%

გამოკითხვის მეთოდი: კომპიუტერის მეშვეობით პირისპირი გამოკითხვა (CAPI).

ინტერვიუს ენები: ქართული, სომხური, აზერბაიჯანული.

საველე სამუშაოების თარიღები: აგვისტო 17, 2018 - სექტემბერი 2, 2018.

შედეგები შეწონილია.